უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

საქმიანობის ბიულეტენი

დეკემბერი, 2023

თემატიკა:

- ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება
- პლენარული სხდომა
- ბიუროს სხდომა
- კომიტეტის სხდომა
- საერთაშორისო ურთიერთობები
- სხვა აქტივობები

უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები, გადაწყვეტილებები, მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა ღონისძიებები აისახება საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების პერიოდში ყოველთვიურად გამოქვეყნდება.

ევროსაბჭომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა

14 დეკემბერი, 2023 წელი

“ეს გამარჯვება ყველასია, გაიმარჯვა ქართველმა ხალხმა”

ვულოცავ ჩვენს ქვეყანას - საქართველოს, ქართველ ხალხს, ხელისუფლებას, ამ ისტორიულ დღეს - საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას. ეს გამარჯვება ქართველმა ხალხმა დამსახურებულად მოიპოვა. ჩვენი წინაპრები საუკუნეების განმავლობაში ისწრაფოდნენ ამ მიზნისკენ და დღეს მივიღეთ ქართველი ხალხის დიდი შრომის შედეგი.

ვულოცავ თითოეულ ადამიანს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, მთავრობის წევრებს, საჯარო მოხელეებს, ელჩებს, ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ასოცირების შეთანხმებით, რეკომენდაციებით თუ სხვა შეთანხმებებით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელების პროცესში. ეს უდიდეს შრომასთან იყო დაკავშირებული. მინდა მივულოცო და მადლობა გადავუხადო, ჩვენს წარმომადგენლობას ევროკავშირის ქვეყნებში, ევროკავშირში საქართველოს საელჩოს, ევროპელ პარტნიორებსა და მხარდამჭერებს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადავედით ახალ და მნიშვნელოვან ეტაპზე. სრულ წევრობამდე დიდი დროა, დიდი სამუშაოა შესასრულებელი, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მისაღებად საჭირო რეფორმების გატარება და შეგვიძლია, ეს ყველაფერი გავაკეთოთ სუფთად, დაბალანსებულად, მიზანმიმართულად. დღევანდელი გადაწყვეტილება სწორედ ამის დასტურია.

ეს გამარჯვება ყველასია, გაიმარჯვა ქართველმა ხალხმა.
ვულოცავ სრულიად საქართველოს და წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას ევროინტეგრაციის გზაზე!

დავით გაბაიძე - აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

პლენარული სხდომა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია

8 დეკემბერი, 2023 წელი

აჭარის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი მიღებულია. პროექტის გადამუშავებულ ვარიანტს უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, 13-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

კანონის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტი, სხდომაზე, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა წარმოადგინა. ჯაბა ფუტკარაძის განმარტებით, მომავალი წლის ბიუჯეტი 726 მილიონ ლარს აჭარბებს, აქედან 345 მილიონია საერთო რესპუბლიკური გადასახდელების მოცულობა, შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი კი 649 100 000 ლარით განისაზღვრა.

მნიშვნელოვანი ზრდაა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით, რაც შესაბამის პროგრამებში მეტი ბენეფიციარის ჩართვას ნიშნავს. იზრდება ეკომიგრანტთა საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამის დაფინანსება. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაზრდილი ბიუჯეტი, რომელიც 140 მილიონ ლარს აჭარბებს, ათეულობით სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციას, მოსწავლეთა ტრანსპორტირების, უმაღლესი სასწავლებელების, სტუდენტთა ხელშეწყობის, უცხოეთში სწავლების, სტაჟირებისა და სხვა მნიშვნელოვან პროგრამებს მოიცავს.

მომავალი წლის ბიუჯეტში, მინისტრის განმარტებით, გაზრდილია ყველა მხარჯავი დაწესებულების დაფინანსება, გაგრძელდება რეგიონისა და მისი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობისა და სხვა მნიშვნელოვანი პროექტები.

კითხვა-პასუხის შემდეგ, ბიუჯეტის პროექტზე თანამოხსენებები წარმოადგინეს: საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში - კახაბერ კირტავამ.

უმაღლეს საბჭოში საშემოდგომო სესია დაიხურა

21 დეკემბერი, 2023 წელი

„ეს, პირველი სხდომაა ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, ისტორიული გადაწყვეტილების მიღებიდან. ქართველი ხალხისა და ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, მივიღეთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. ვულოცავ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას და მხარდაჭერისათვის მადლობას ვუხდი ყველა პარტნიორ ორგანიზაციას“, - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დავით გაბაიძემ საშემოდგომო სესიის ბოლო პლენარული სხდომის დაწყებისას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, კანონმდებლებმა საქართველოს მოქალაქეებს ქვეყნისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება მიულოცეს, აჟღერდა ევროკავშირის ჰიმნი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკანონმდებლო პაკეტი სხდომაზე საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა. კანონმდებლებმა, გამარტივებული წესით, განიხილეს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტსა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები. წარმოდგენილი პროექტების თანახმად, აჭარის უმაღლესი საბჭო, თავმჯდომარისა და მოადგილის გარდა, ღია კენჭისყრით აირჩევს სხვა თანამდებობის პირებს. რეგლამენტის პროექტი -13, უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონი კი - 14 ხმით მიიღეს.

კანონმდებლებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მეორე საკანონმდებლო პაკეტს, რომელიც „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“ (I მოსმენა) კანონსა და უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს მოიცავს - საკანონმდებლო ინიციატივის წესით ,,საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტის პარლამენტში წარდგენის შესახებ.

სხდომას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ესწრებოდნენ.

სხდომის დასასრულს, დარბაზში აჟღერდა საქართველოს ჰიმნი - აჭარის უმაღლეს საბჭოში საშემოდგომო სესია დაიხურა.

ბიუროს სხდომა

ბიუროს სხდომა

6 დეკემბერი, 2023 წელი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ გადამუშავებულ კანონის პროექტს და 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი 10 დეკემბრამდე განიხილავს.

შესაბამისი გადაწყვეტილება ბიუროს დღევანდელ სხდომაზე მიიღეს, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა.

საკითხი, კანონმდებლებს, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, მარინემ გვიანიძემ წარუდგინა.

მისი განცხადებით, კანონის პროექტი, რეგლამენტის შესაბამისად, გადაეგზავნა - უმაღლესი საბჭოს კომიტეტებს, ფრაქციებს, დამოუკიდებელ წევრებს, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს და აუდიტის სამსახურს.

წამყვანი კომიტეტის დასკვნის წარდგენის შემდეგ, უმაღლესი საბჭო, აჭარის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს უახლოეს პლენარულ სხდომაზე განიხილავს.

ბიუროს სხდომა

7 დეკემბერი, 2023 წელი

ხვალ, უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე, აჭარის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი განიხილება.

ბიუროს სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, კანონის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტი საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ წარმოადგინა.

მომხსენებლის განცხადებით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტი მთავრობიდან კანონით გათვალისწინებული ვადების დაცვით შემოვიდა. წამყვანმა კომიტეტმა, განხილვის შემდგომ, მოამზადა შესაბამისი დასკვნა, რომლის თანახმად, საკითხი მომზადებულია პლენარულ სხდომაზე განსახილველად.

ბიუროს სხდომა

20 დეკემბერი, 2023 წელი

21 დეკემბერს, აჭარის უმაღლესი საბჭოში საშემოდგომო სესია პლენარული სხდომით დაიხურება.

სხდომის დღის წესრიგი კანონმდებლებმა ბიუროს სხდომაზე განსაზღვრეს, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა.

საშემოდგომო სესიის ბოლო პლენარულ სხდომაზე ორი საკანონმდებლო პაკეტი განიხილება.

სხდომაზე, ასევე განიხილეს სხვადასხვა საკითხი.



კომიტეტის სხდომა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი ბიუროს წარედგინება

7 დეკემბერი, 2023 წელი

აჭარის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარედგინება. გადაწყვეტილება კანონმდებლებმა საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მიიღეს.

კანონის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტი ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა წარმოადგინა.

ჯაბა ფუტკარაძის განმარტებით, პროექტის თანახმად, მომავალი წლის ბიუჯეტი 726 მილიონ ლარს აჭარბებს, აქედან 345 მილიონით განისაზღვრა საერთო რესპუბლიკური გადასახდელების მოცულობა.

პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, მინისტრმა უპასუხა კომიტეტის წევრების შეკითხვებს.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომა ხელვაჩაურში

12 დეკემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტმა, თემატური მოკვლევის მიზნით, გასვლითი სხდომა გამართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში.

კომიტეტის თავმჯდომარის, დავით ბაციკაძის განცხადებით, მოკვლევა მოსწავლეთა მასობრივ სპორტში ჩართულობის შესახებ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის შესწავლას ითვალისწინებს და მისი მიზანი ამ სფეროში არსებული გამოწვევების გაანალიზება და სიახლეების დანერგვაა.

დარგობრივი კომიტეტის წევრები და აპარატის თანამშრომლები ხელვაჩაურის რესურსცენტრის წარმომადგენლებსა და საჯარო სკოლების ფიზიკური აღზრდის პედაგოგებს შეხვდნენ.

თემატური მოკვლევის მიზნები და ამოცანები შეხვედრის მონაწილეებს კომიტეტის თავმჯდომარემ - დავით ბაციკაძემ გააცნო. კითხვა-პასუხის შემდეგ, კომიტეტის წევრებმა მოისმინეს შეხვედრის მონაწილეთა მოსაზრებები და წინადადებები.

დღესვე, კანონმდებლებმა, მოსწავლეთა მასობრივ სპორტში ჩართულობის შესახებ, ინფორმაცია მოისმინეს მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის ხელმძღვანელებთან და მწვრთნელ-პედაგოგებთან გამართულ შეხვედრაზეც.

თემატური მოკვლევის დასრულების შემდეგ, კომიტეტი მოამზადებს შესაბამის დასკვნასა და რეკომენდაციებს, რომლებიც, შემდგომი რეაგირებისთვის, სათანადო უწყებებს გადაეგზავნება.

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტმა „აგროსერვის ცენტრის“ ხელმძღვანელის ინფორმაცია ცნობად მიიღო

13 დეკემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის“ ხელმძღვანელს მოუსმინეს - რაულ თავართქილაძე, კანონმდებლების წინაშე, მიზნობრივი პროგრამების მიმდინარეობისა და შესრულების შესახებ ინფორმაციით წარსდგა.

მომხსენებლის განცხადებით, ცენტრის ბიუჯეტი 6 მილიონ ლარს აჭარბებს და 7 პროგრამაზეა გაწერილი. აგრარული სფეროს განვითარებას ხელს უწყობს რიგი საგრანტო პროგრამებიც, რომელთა ჯამური ბიუჯეტი მილიონ ლარზე მეტია.

მეციტრუსეობის, მეფუტკრეობის, მეცხოველეობის განვითარების, სარწყავ-სამელიორაციო სისტემების სარეაბილიტაციო, მოვლა-შენახვის, ფერმერთათვის ხვნა-თესვის ხელშემწყობი და სხვა პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებზე სრული ინფორმაციის წარდგენის პარალელურად, მომხსენებელმა უპასუხა კანონმდებელთა შეკითხვებს.

„ჩვენთვის, როგორც მცირემიწიანი ქვეყნისთვის, აგრარული სფეროს განვითარება-ხელშეწყობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ვფიქრობ, ამ მიმართულებით წელს არაერთი გამოწვევაა დაძლეული“,- აღნიშნა დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარემ, ფრიდონ ფუტკარაძემ.

კომიტეტმა წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად მიიღო.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

14 დეკემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტმა ცნობად მიიღო ინფორმაცია ა(ა)იპ ,,ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის“ 2022 წლის და 2023 წლის 10 თვის საქმიანობის თაობაზე. სხდომაზე მოხსენება ბიზნესინკუბტორის დირექტორმა წარმოადგინა.

კახა შავაძის განცხადებით, დღეის მდგომარეობით ინკუბირებულია 64 კომპანია, რომელთაგან 3, დღეისათვის, კვლავ საქმიანობს ინკუბატორში. IT სკოლა, სოფლად ინკლუზიური ბიზნესის განვითარება, მყარი ნარჩენების მართვის სექტორის ხელშეწყობა, ის მიმართულებებია, რომლებიც წარმატებით ხორციელდება. მომხსენებელმა უპასუხა კანონმდებელთა შეკითხვებს.

დღის წესრიგის მეორე საკითხი - ,,ტურიზმის ორგანიზების შესახებ“ აჭარის კანონზე ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის პროცედურებთან დაკავშირებით, სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ წარმოადგინა.

მარინე გვიანიძის განცხადებით, ანალიზისა და მონიტორინგის შედეგად, გამოიკვეთა ახალი საკანონმდებლო ინიციატივის მომზადების აუცილებლობა.

კომიტეტის გადაწყვეტილებით, საკითხი უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარედგინება.

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა

21 დეკემბერი, 2023 წელი

2023 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა მიმოიხილეს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელზეც შესაბამისი მოხსენებით ამავე კომიტეტის თავმჯდომარე - ლადო მგალობლიშვილი წარსდგა.

ამავე სხდომაზე, ლადო მგალობლიშვილმა, კანონმდებლებს, აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლების უმაღლესი საბჭოს ფრაქციების მიერ 2023 წლის საშემოდგომო სესიაზე გამოყენების შესახებ, ინფორმაცია გააცნო და აღნიშნა, რომ ფრაქციების მხრიდან დარღვევებს ადგილი არ ჰქონია.

კომიტეტის წევრებმა ორივე საკითხი ცნობად მიიღეს.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომა

22 დეკემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტმა, ქედის მუნიციპალიტეტში გამართულ გასვლით სხდომაზე, დღის წესრიგით გათვალისწინებული ერთი საკითხი განიხილა.

სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე, მარინე გვიანიძე უძღვებოდა, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინფორმაცია მოისმინეს.

მამუკა თურმანიძემ, „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ პროგრამის ფარგლებში, 2023 წელს შესრულებული პროექტების შესახებ ისაუბრა და უპასუხა კანონმდებელთა შეკითხვებს, რომლებიც უწყების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებსა და პროექტებს შეეხებოდა.

წარმოდგენილი ინფორმაცია კომიტეტის წევრებმა ცნობად მიიღეს.
სხდომას ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სამუშაო შეხვედრები, სხვა აქტივობები

ილია ვერძაძე USAID-ის „სამოქალაქო განათლების პროგრამის“ პარტნიორი სკოლების მოსწავლეებს შეხვდა

20 დეკემბერი, 2023 წელი

„სასიხარულოა, რომ პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის შეზღუდვაზე ინიციატივა ახალგაზრდებისგან მოდის და უახლოეს მომავალში, ეს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებშიც აისახება, რომელზეც საქართველოს პარლამენტი მუშაობს“, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ილია ვერძაძემ USAID-ის „სამოქალაქო განათლების პროგრამის“ პარტნიორი სკოლების მოსწავლეებთან შეხვედრისას.

აჭარის უმაღლესი საბჭოს დარგობრივი კომიტეტის წევრებმა, საკანონმდებლო ორგანოში გამართულ შეხვედრაზე, სსიპ ქალაქ ბათუმის № 16 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბ - „იდეატორის“ წევრებს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლების - ლეღვასა და წყავროკის საჯარო სკოლების უფროსკლასელებს, „პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ“ პეტიციასთან დაკავშირებული შემდგომი პროცედურები გააცნეს.

აღნიშნული პეტიცია, რომლის ავტორი ბათუმის № 16 საჯარო სკოლის კლუბი „იდეატორია“, სამართლებრივი შეფასებისა და განხილვის შემდგომ, აჭარის უმაღლესი საბჭოდან საქართველოს პარლამენტში გადაიგზავნა, სადაც შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებაზე მუშაობენ.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

უმაღლესი საბჭოს წევრები აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემაჯამებელ შეხვედრაში მონაწილეობდნენ

20 დეკემბერი, 2023 წელი

უმაღლესი საბჭოს წევრები - ტიტე არაშიძე, მარინე გვიანიძე, ფრიდონ ფუტკარაძე აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემაჯამებელ შეხვედრაში მონაწილეობდნენ.

ღონისძიებას, რომელზეც უწყების 2023 წლის საქმიანობის ანგარიშით მინისტრი - ზაზა შავაძე წარსდგა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი - ოთარ შამუგია, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე - თორნიკე რიჟვაძე, საქართველოს პარლამენტის, აჭარის მთავრობის, თვითმმართველობების, სამეწარმეო და ბიზნესწრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მომხსენებელმა ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, სამინისტროს მომავალი წლის პრიორიტეტებსა და ბიუჯეტზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც 3 273 628 ლარით გაიზარდა და16 პროგრამას მოიცავს.

შეხვედრის ბოლოს, ზაზა შავაძემ, მხარდაჭერისა და აქტიური თანამშრომლობისთვის, მადლობა გადაუხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრებს.

შემაჯამებელ შეხვედრაზე, დარგში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოვდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქვეუწყებო დაწესებულებების თანამშრომლები.

საქართველოს პარლამენტის კომიტეტის გასვლითი სხდომა უმაღლეს საბჭოში

22 დეკემბერი, 2023 წელი

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ფრიდონ ფუტკარაძე აჭარის უმაღლეს საბჭოში გამართულ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის გასვლით, შემაჯამებელ სხდომას დაესწრო.

სხდომაზე, რომელიც პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარემ მაია ბითაძემ გახსნა, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის პარიზის შეთანხმების შესაბამისად შემუშავებული კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიისა და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში მოისმინეს და მესამე მოსმენით განიხილეს საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც „ნარჩენების მართვის კოდექსში“ ცვლილებებს ითვალისწინებს.

ორივე საკითხი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ - ნინო თანდილაშვილმა წარმოადგინა.

კომიტეტის შემაჯამებელ სხდომას, საპატიო სტუმრის სტატუსით, აშშ-ის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) კავკასიის ეკონომიკური მმართველობის ოფისის ხელმძღვანელი - მიშელ კოსელსკი ესწრებოდა.

დავით გაბაიძემ მედიკოსებს პროფესიული დღე მიულოცა

22 დეკემბერი, 2023 წელი

„არსებობს პროფესიები, რომლებიც არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაა. მათ შორის არიან მედიკოსები, რომლებსაც ურთულესი პასუხისმგებლობა აკისრიათ. შეუფასებელია თქვენი შრომა სიცოცხლისთვის ბრძოლაში“, - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ „მედიცინის დღესთან“ დაკავშირებით გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე. დავით გაბაიძემ მედიკოსებს პროფესიული დღე მიულოცა და „წლის ექიმის“ სიგელები - ვახტანგ აფხაზავასა და ზეინაბ ფაღავას გადასცა.

მედიკოსებს პროფესიული დღე მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ილია ვერძაძემ:

„როგორც ექიმს, კარგად მესმის იმ ტვირთის სიმძიმე, რომელიც ჩვენს პროფესიას ახლავს თან. გისურვებთ მეტ მადლიერ და გამოჯანმრთელებულ პაციენტს “, - აღნიშნა ილია ვერძაძემ.

წლის საუკეთესო მედიკოსთა დაჯილდოებამდე, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, რეგიონის სამედიცინო სფეროში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში მინისტრმა - ნინო ნიჟარაძემ წარმოადგინა.

შემაჯამებელ ღონისძიებას, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - ტიტე აროშიძე, საქართველოს პარლამენტის, რეგიონის მთავრობისა და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ილია ვერძაძემ, წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე, ღვაწლმოსილი ექიმები დააჯილდოვა

28 დეკემბერი, 2023 წელი

„ფასდაუდებელია თქვენი შრომა, ადამიანების ჯანმრთელობისთვის, მათი გადარჩენისთვის ყოველდღიურ ბრძოლაში“, - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ილია ვერძაძემ, საკანონმდებლო ორგანოში, საკოორდინაციო საბჭოსთან ერთად გამართულ წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე.

ილია ვერძაძემ, მედიკოსებს, საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისთვის, დამდეგი დღესასწაულები მიულოცა და პროფესიულ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

ღონისძიებაზე, წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობისთვის, უმაღლესი საბჭოს სპეციალური სიგელებით დაჯილდოვდნენ ღვაწლმოსილი ექიმები. მედიკოსებს დამსახურებული ჯილდოები ილია ვერძაძემ, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა - ნინო ნიჟარაძემ და საკანონმდებლო ორგანოს დარგობრივი კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელმა - ლეილა ღოღობერიძემ გადასცეს.

უმაღლესი საბჭოს დარგობრივ კომიტეტთან არსებული საკოორდინაციო საბჭო რეგიონის სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებსა და ექიმებს აერთიანებს. მათთან თანამშრომლობით, კომიტეტმა არაერთი წინადადება და რეკომენდაცია მოამზადა.

საბჭოს წევრებს, შეხვედრაზე, შემდგომი კონსულტაციებისთვის, „საქართველოს შრომის კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტი გადაეცათ.

დავით გაბაიძე სტუდენტური კლუბის - „რუსთაველის“ წევრებს შეხვდა

28 დეკემბერი, 2023 წელი

„თქვენ, თავისუფლებაში დაბადებულმა თაობამ, უნდა შექმნათ ახალი პოლიტიკური კულტურა“, - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დავით გაბაიძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კლუბის - „რუსთაველის“ წევრებთან შეხვედრისას.

ღონისძიებაზე, საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ, სტუდენტთა კითხვების შესაბამისად, ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებზე, ვალდებულებებზე, სამართლებრივ პროცესებზე, რეგიონების როლზე, საგანმანათლებლო სფეროსა და ზოგადად, საქართველოს, როგორც ევროკავშირის მომავალი წევრი ქვეყნის პერსპექტივებზე ისაუბრა.

შეხვედრა უმაღლესი სასწავლებლის ინიციატივით გაიმართა.

საერთაშორისო ურთიერთობები

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ საქართველოში UNDP-ის მოქმედ ხელმძღვანელს - დაგლას უებს უმასპინძლა

12 დეკემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოქმედ ხელმძღვანელს - დაგლას უებს უმასპინძლა. შეხვედრაზე ერთობლივად განხორციელებული, მიმდინარე პროექტები, საერთო მიღწევები და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

„UNDP-ის მხარდაჭერითა და მათთან ნაყოფიერი თანამშრომლობით განხორციელებული პროექტები ხელს გვიწყობს ევროპული დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრებასა და ინსტიტუციურ გაძლიერებაში ,“ - აღნიშნა დავით გაბაიძემ.

სტუმარმა დაათვალიერა შენობაში არსებული ხელმისაწვდომობის კომპონენტები (ტაქტილური ბილიკები, ლიფტი და ა.შ), ბიუროს ოთახი, სასესიო დარბაზი და გაეცნო მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის მუშაობას.

„აჭარის უმაღლესი საბჭოს პროგრესი ინსტიტუციური გაძლიერების თვალსაზრისით, მისასალმებელია, პროგრესია მოქალაქეთა ჩართულობის, ღიაობისა და გამჭვირვალობის მიმართულებითაც, რაც ძალზე მნიშვნელოვანია“, - განაცხადა დაგლას უებმა.

ევროკავშირისა და UNDP-ის ხელშეწყობით, აჭარის უმაღლეს საბჭოში განხორციელდა მთელი რიგი რეფორმები, შემუშავდა შენობისა და ვებგვერდის ხელმისაწვდომობის კონცეფციები, რომელთა შედეგად, საკანონმდებლო ორგანოს ადმინისტრაციული შენობა, რეგიონში ერთ-ერთი პირველია, რომელიც სრულადაა ადაპტირებული შშმ პირთათვის. ამასთან, ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, დაინერგა ჩართულობის ახალი მექანიზმები, შეიქმნა მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი, ახალი ვებპორტალი - CHAERTE.SCA.GE, რომელიც მოქალაქეებს ხელსაყრელ ელექტრონულ სერვისებს სთავაზობს.

თანამშრომლობის ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, 2019-2023 წლებში, განხორციელდა პროექტი - „საპარლამენტო დემოკრატიის კონსოლიდაცია საქართველოში“ და მიმდინარე წლის დეკემბერში, კვლავ ევროკავშირის მხარდაჭერით, დაიწყო ახალი, ორწლიანი პროექტი სახელწოდებით - „ძლიერი საპარლამენტო ინსტიტუციები საქართველოში“.

ცოტნე ანანიძე და ილია ვერძაძე, მადრიდში, ევროპის რეგიონულ ფორუმში - „ხელმისაწვდომი ევროპა: *ICT 4 ALL*“- ში მონაწილეობდნენ

15 დეკემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - ცოტნე ანანიძე და ილია ვერძაძე, 13-14 დეკემბერს, ესპანეთის დედაქალაქში, მადრიდში, ევროპის რეგიონულ ფორუმში - „ხელმისაწვდომი ევროპა: ICT 4 ALL“- ში მონაწილეობდნენ.

ესპანეთის სამეფოს მთავრობის მხარდაჭერით გამართული ფორუმის მიზანი რეგიონული ქსელების გაძლიერება და გამოცდილების ურთიერთგაზიარებაა. ღონისძიება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ყოველწლიურად იმართება.

„ფორუმი, როგორც წესი, აერთიანებს კანონმდებლებს, სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, აკადემიური წრეების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს ხელმისაწვდომობის, ინკლუზიური ციფრული საზოგადოების, ეკონომიკური გარემოს გაძლიერების, ასევე ევროპის რეგიონებში მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული გამოწვევების განსაზღვრის მიზნით“, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ცოტნე ანანიძემ.

უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ილია ვერძაძის განცხადებით, ფორუმის ფარგლებში, სპეციალისტებმა წარმოადგინეს სამომავლო გეგმები, შეხედულებები ევროპის გაძლიერების, ხელმისაწვდომობისა და ეკონომიკური განვითარების მიმართულებით.

ღონისძიება, რომელსაც „Fundación ONCE“ მასპინძლობდა, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირისა (ITU) და ევროკომისიის (EC) მიერ იყო ორგანიზებული.

- ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე - 10.12.2023
- ევროპულმა საბჭომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა - 14.12.2023
- ''მაგნოლია 2023'' - ტურიზმის დაჯილდოება - 27.12.2023
- წლის წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება - 26.12.2023
- წლის შემაჯამებელი მიღება საკონსტიტუციო სასამართლოში - 28.12.2023
- “ჩემი პირველი კომპიუტერი” - წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოება - 28.12.2023

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

sca.ge

chaerte.sca.ge